ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 სამშაბათი, 19 ივნისი № 1499

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ტფილისის კერძო

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
კვირა უქმეების გარდა,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრობით — 9—10 ს.

ნ. ა. მუდიბი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 11—12 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12—1 საათამდე.

მ. გ. ფეოდოროვი შინაგანი და საბავშვო — 1 საათ. 2-მდე.

გ. დ. მარკევიჩი — სადოსტაქრო — 12½ 1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი — 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი. — შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. — 5—6 საათზე.

ბ. შალალაშვილი — კვირაობით — 10—12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი ორჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამე. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოდ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ).

მთავრობის განკარგულებანი

ტფილისის სახაზინო პალატის შტატს გარეშე მოხელეს გუბერნსკი სეკრეტარს ისტოლიშვილს ებოძა კოლლეჟსკი სეკრეტრობა.

გორის სამაზრო ხაზინის ბუჰალტერს კოლლეჟსკი რეგისტრატორს თავ. თაქთაქიშვილს—გუბერნსკი სეკრეტრობა.

ტფილისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელეთ თავ. ჯავახიშვილს, თელავის მაზრის ხაზინისას—თავ. სიდამონოვს და ანდრონიკაშვილს ებოძათ აგრეთვე გუბერნსკი სეკრეტრობა, ხოლო პალატის ბუჰალტერის თანაშემწეს კერესელიძეს—კოლლეჟსკი რეგისტრატორობა.

სიღნაღის მაზრის ბაკურციხის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს გუბერნსკი სეკრეტარს თავ. ჯორჯაძეს ებოძა კოლლეჟსკი სეკრეტრობა, ხოლო გორის მაზრის სამართველოს კანცელარიის მოხელეს ქარუმიძეს და ტფილისის გუბერნატორის უმცროს საგანგებო საქმეთა მინდობილების მოხელეს თავ. ბაგრატიონ მუხრანსკის—კოლლეჟსკი რეგისტრატორობა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ლიბერალთა შორის განხეთქილება ყველას სალაპარაკოდ გახდა. კონსერვატორების გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ ამბავს. აი რას იუწყება «სტანდარდი»:

«ლიბერალ-იმპერიალისტები ასკიტის განცხადებით სრულიად დაკმაყოფილდნენ და ბ. ჰენრი კემპბელ-ბანერმანის წინამძღოლობის თანამდებობიდან გადაყენებას სულაც არა თხოულობენ; იმითაც კმაყოფილდებიან, რომ თავისი აზრი სამხრეთ-აფრიკის ომზე აშკარად გამოსთქვეს. ყოველ შემთხვევაში დარწმუნებულნი არიან, რომ ასკიტის სიტყვა კეთილ-გავლენას იქონიებს ლიბერალთა წინამძღოლზე. ამას წინად ბანერმანმა ბურების მეგობრებთან დაახლოვება მოინდომა; მაგრამ ლიბერალ-იმპერიალისტები ჰფიქრობენ, რომ ამას იქით გაფრთხილდება და პარტიის უკიდურეს წევრებს ისე მჭიდროდ აღარ დაუახლოვდება. პოლიტიკურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ ბ-ნი ბანერმანი აქამდე ლიბერალ-იმპერიალისტების ძალას არად აგდებდა, ესენი კი ირწმუნებიან, რომ იმათი პარტია 70-სა, ანუ 80 წევრისაგან შესდგება. ამათ გარდა, კიდევ ბევრი სხვა ლიბერალია ომის მომხრე და ჰფიქრობენ, რომ ბურების რესპუბლიკები ბრიტანიის იმპერიას უნდა შეუერთდნენო. ლიბერალურ პარტიაში ბურების მეგობარი მეტად მცირეა, არა გვგონია, რომ 20 ლიბერალი დეპუტატიც გამოვიდეს, რომლებსაც ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გულით ეწადოთ».

შემდეგ გაზეთი ჰკითხულობს, როგორ შეხვდავს ბანერმანი ასკიტის განცხადებასაო და ასეთ პასუხს იძლევა:

«ჩვენ შევიტყვეთ, რომ ოპოზიციის წინამძღოლი პასუხს არ მისცემს ასკიტს და ამის თაობაზე ლიბერალთა პარტიას არ შეჰკრებავს. გარკვეულს მოლაპარაკე და ერთად გადასწყვიტეს, რომ ასკიტის სიტყვა არაა ღირსი ოპოზიციის წინამძღოლისაგან პირდაპირი პასუხისაო. როცა შემთხვევა იქნება, ბანერმანი გაკვრით პასუხს გასცემს, მაგრამ ჯერ კი ყველას სიჩუმე სჯობიაო».

«დეილი მეილი»-ც სიხარულით ფეხზე ადარა დგას. ეს გაზეთი დიდის სიხარულით ამბობს:

«ოპოზიციის წინამძღოლი ბანერმანი აშკარად ბურებს მიემხრო და ეს ამბავი ცუდად იმოქმედებს მის პარტიაზე. ეს ჯერ კიდევ იმ დროს აღმოჩნდა, როცა პალატაში ბურების ბანაკებზე კამათი იყო: 100 ლიბერალ-იმპერიალისტმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო. მაგრამ იმ პირებს, რომლებიც ნდომობენ ინგლისის ლიბერალური პარტია ბურების პარტიად გადააქციონ, ყველაზე დიდი მეხი ამ დღეებში ასკიტმა დასცა: ლიბერალთა ფედერაციაში სიტყვა წარმოსთქვა და მკაცრი პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ლაბუშერისა, ლლოიდ ჯორჯისა და სხვათა პოლიტიკას მთელს ლიბერალურ პარტიას თავზე ახვევენ. «ზოგიერთი ჩემი მეგობართაგანი ჰფიქრობენ,—სთქვა ასკიტმა,—რომ ჩვენ ბურებს უნდა დავმორჩილდეთო. მაგრამ, ვიდრე პროტესტის გამოცხადება შემიძლიან, ამისთანა წინადადებას მთელი ლიბერალური პარტია არ მიემხრობა».

სამაგიეროდ ლიბერალთა წრეებში ასკიტის სიტყვას სამწუხარო და წინდაუხედავ სიტყვადა სთვლიან, მაგრამ დიდ მნიშვნელობას კი არ აძლევენ. «დეილი ნიუსი» შენიშნავს:

«დემონსტრაცია მოახდინეს და იმპერია დაღუპვას გადაარჩინეს. ეს დემონსტრაცია არავითარ წინააღმდეგობას არ გამოიწვევს: არც სიტყვით, არც თუ საქმით. კემპბელ-ბანერმანი,—დარწმუნებულნი ვართ,—ხმასაც არ გასცემს, მორლეი კი ისეთი კაცი არაა, რომ დიდი პოლიტიკური უთანხმოება წვრილმან პირად განკლაობად გახადოს».

თუ სხვა გაზეთებს დავუჯერეთ, ოპოზიციის წინამძღოლი 19 ივნისს, საუტჰამპტონში დიდ პოლიტიკურ სიტყვას იტყვის და ასკიტის სიტყვასა და ლიბერალთა შუა განხეთქილების თაობაზედაც ილაპარაკებს. ამბობენ, ბევრი ლიბერალი ურჩევს კემპბელ-მანერმანს, რომ ლიბერალ იმპერიალისტებს სულ მთლად გაეყაროს, მაგრამ, ბანერმანის აზრით, ჯერ საამისოდ საკმაო საფუძველი არ არსებობსო. ლიბერალური გაზეთები ორ ბანაკად გაიყვნენ: ზოგს, გაზეთ «დეილი ქრონიკლ»-ის მეთაურობით, ასკიტის მხარე უჭირავთ, სხვები კი, მაგალითად, «დეილი ნიუსი», «ვესტმინსტერ გაზეთ»-ი, ლიბერალებს ურჩევენ, რომ კემპბელ-ბანერმანის მხარე დაიჭირონ.

«ჟურნალ დე დება»-ს სიტყვით, არც თუ ლიბერალ-იმპერიალისტებს სწადიანთ, რომ მთლად მოშორდნენ კემპბელ-ბანერმანს. ამ გაზეთის სიტყვით, ასკიტმა ახალი სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: «ძრიელს სცდებიან, ვისაც ჰკო-

ფელეტონი

კიდევ საერთო მოღვაწეობაზე *)

II

ბ. ჟორდანია, ვიდრე ჩვენს „ბურჟუაზიულ“ **) შეხედულების განხილვას შეუდგებოდეს, ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ჩვენ არ ვიცით, რა არის ეროვნება და ამისათვის ჩვენი იდეალი „ნაციონალიზმი უნაციოთ, ეროვნება უეროდ“ არისო. ჩვენ არ გამოვუდგებით ბ. ჟორდანიას აზრების დარღვევას. ავტორი ნაძალადევ სილოგიზმების აშენებას გამოსდგომია და ამ ხელოვნურ იარაღით გამოდის საჯაროდ.. საკამათოდ. თუ როგორ ვესმის ჩვენ ეროვნება და ეროვნული კითხვა, ამაზე უკვე გვქონდა ჩვენ ლაპარაკი ***). ვისაც აინტერესებს ეს კითხვა, წაიკითხავს ამ წერილს, საიდანაც გაიგებს, რამდენადაც მართლა არის რაიმე წინააღმდეგობა ამ კითხვის ჩვენ მიერ დაყენებაში და მის ჯეროვან განმარტებაში. ამ ჟამად ყველა ამას თავი დავანებოთ და შევუდგეთ პირდაპირ ეკონომიური კითხვების განმარტებას.

მეორე საკამათო საგანი ამნაირია: ეროვნული მრეწველობა-მეურნეობის განვითარების საჭიროება. ჩვენ გვგონია, რომ ჩვენი ეროვნების სვე-ბედი უნდა დაფუძნდეს მკვიდრ ეკონომიურ საფუძველზე. ამის განსახორციელებლად ერთად-ერთი სახსარია: ქართულ მრეწველობის და მეურნეობის განვითარება. ვინც ჩვენ არ გვეთანხმება, უნდა სხვა რამ გვიჩვენოს—ან ის, რომ ჩვენი ეროვნების დაფუძნება ეკონომიურ ნიადაგზე არ არის საჭირო, ან კიდევ ის, რომ ჩვენს ეროვნებას ხელს შეუწყობს საზოგადო (კავკასიის, რუსეთის) მრეწველობის წარმატება და არა მარტო ქართულ მრეწველობა მეურნეობის განვითარება. ბ. ჟორდანია ამ ორ კითხვას არავითარ ყურადღებას არ აქცევს და მხოლოდ იმაზე მსჯელობს, რომ ჩვენი ცდა ქართულ მრეწველობა-მეურნეობის გამაგრებისა ბურჟუაზიის გაძლიერებაა და მის ხალხზე გაბატონებას მოასწავებს. ჩვენი საშუალება ბურჟუაზიული ყოფილა. მხოლოდ ის, რაზედაც ავტორი გვითითებს, ვითომდა დემოკრატიული საშუალება ყოფილა. „მართალია, კაპიტალისტური განვითარება არის იმავე დროს ნაციონალური განვითარებაც, ამბობს ბ. ჟორდანია, მაგრამ ეს იმდენად, რამდენად ის არღვევს ძველ ფეოდალურ პატრიარქალურ წყობილებას და ამყარებს ახალს“ (№ 24). რომელს ახალს ამყარებს კაპიტალისტიური განვითარება? სოციალურს? არა, ბურჟუაზიულს. მაშასადამე, ბურჟუაზიული კაპიტალი ყოფილა ძველ ფეოდალურ წყობილების დამარღვეველი იარაღი. ასე, რომ ჩვენს წინ განსაზღვრული დილემმაა: ჩვენ ან გვსურს ფეოდალურ წყობილების დარღვევა, ან არა გვსურს. თუ გვსურს ბურჟუაზიული კაპიტალი უნდა დავამყაროთ ჩვენში, თუ არა გვსურს, ყოველი, ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ამ კაპიტალმა არ მოიკიდოს ფეხი ჩვენში. ბ. ჟორდანიასაც და ჩვენც გვსურს ძველი წესის დარღვევა. მაშ რაშია ჩვენი უთანხმოება? ნუ თუ მართლა იმაში, რომ ბ. ჟორდანია ჰხედავს ბურჟუაზიულ კაპიტალის სასტიკ ძალმომრეობას და ჩვენთვის ვითამ ამნაირი მისი ძალმომრეობა არ არსებობს? „ფულის წინააღმდეგი არც ჩვენ ვართო, ამბობს ავტორი. მაგრამ რატომ ეს ფული უთუოდ ორიოდე კაცს უნდა ჰქონდეს და არა მუშა ხალხს“? რატომ? ეს სიტყვები „ეკონომიურ მატერიალიზმის“ მქადაგებელს არ ეპატიება. რატომ ერთბაშად არა მყარდება სამართალი და თანასწორობა? რატომ ფეოდალურ წყობილებას უსათუოდ ბურჟუაზიული მოსდევს? რატომ... მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ჩვენ გვგონია, ავტორს უნებლიეთ მოუვიდა ამგვარი „სენტიმენტალობა“, რომელიც იმითი კი არ არის გამოწვეული, რომ ავტორი საზოგადოთ ბურჟუაზიული წყობილების აუცილებლობის წინააღმდეგი იყოს, არამედ იმითი, რომ ის წინააღმდეგია ქართულ ბურჟუაზიულ წყობილების დამყარებისა, ე. ი. ავტორი თანაუგრძნობს კავკასიელ ბურჟუაზიის გამოჩენას და არ თანაუგრძნობს ჩვენს ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილ ბურჟუაზიას. მაშასადამე, ბ. ჟორდანია წინააღმდეგია ნაციონალურ მრეწველობის განვითარებისა; მაშასადამე, ამ მრეწველობის განვითარება არ უნდა იყოს, იმისი შეხედულობით, ჩვენი საერთო მოღვაწეობის საგანი. თუ ეს ასეა, რომელ ეკონომიურ საფუძველზე ამყარებს ბ. ჟორდანია ჩვენს ეროვნულ აღორძინებას?

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1497.

**) ერთს ჩვენს წერილში ჩვენა ვსთქვით, რომ ბურჟუაზიულ-ეროვნულ პარტიას შეიძლება ჰქონდეს იდეალად ძველი ფეოდალური საქართველო. ბ. ჟორდანია გაკვირვებულია, როგორ ვაკავშირებთ ჩვენ ამ ორ მცნებას. „განა შეიძლება ფეოდალს ბურჟუა დავარქვათ და ბურჟუას ფეოდალიო“? ბ. ჟორდანიას ეცოდინება, რომ ევროპის სიტყვიერებაში გამოირკვა ორი მცნება: ბურჟუაზიული — კერძო საკუთრების მცველი და კოლლექტიური — ამ საკუთრების დამრღვეველი, საერთო მფლობელობის დამამყარებელი. ფეოდალიზმი, ისევე როგორც ბურჟუაზიული წეს-წყობილება, კერძო საკუთრების ხელუხლებლობაზეა დამყარებული. და სწორედ ამ სახით შეიძლება ვუწოდოთ ფეოდალს ბურჟუა და ბურჟუას ფეოდალი — პირველიც და მეორეც კერძო საკუთრების მცველნი არიან. იმედია, დააკმაყოფილებს ბ. ჟორდანიას ეს ჩვენი განმარტება.

***) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1490.

ნიათ, ვითომ მე და ჩემ მეგობრებს განზრახვა გვქონდეს ლიბერალურ პარტიასთან ყოველი კავშირი გავწყვიტოთო. ასკიტმა იმედი გამოსთქვა, რომ სამხრეთ-აფრიკაში თავის დროზე სამხრეთ-აფრიკის ფედერაცია იქნება დაწესებული, მით მაინც ორატორი დარწმუნებულია, რომ ეხლანდელ გარემოებათა შორის სრულებით შეუძლებელია ბურების რესპუბლიკებს დამოუკიდებლობა დაუბრუნდესო».

✿ თუ რას უნდა მოელოდებოდნენ ინგლისელთა უმეტესობისაგან ბურები, ეს გაზეთ «როსსია»-ს დეპეშიდანაც საკმაოდ ნათლადა სჩანს:

«დღეს ლონდონში კრება იყო დანიშნული, რომელზედაც ქ-ნ ჰობლოუზს თავისი გამოკვლევა ბურების ქალთა და ბავშვთა გაჭირვებულ მდგომარეობაზე უნდა წაეკითხნა,—მაგრამ კრება გადაიდო, რადგანაც სადგომს არავინ არ იძლევაო».

საფრანგეთი. 8 ივნისს პარიჟში «რადიკალთა კონგრესი» გაიხსნა. ამ კონგრესსზე მემარცხენეთა პარტიის ყველა დასებმა საერთო პროგრამმა უნდა შეიმუშაონ მომავალ საზოგადო არჩევნების დროს მოქმედებისათვის. საფრანგეთის ყველა კუთხეებიდან 900 დელეგატია მოსული; ესენი 80 დეპარტამენტის წარმომადგენლები არიან. კონგრესის სხდომა მეზიურერმა გახსნა. ჯერ კონგრესის წევრებს მიჰმართა სალამით და შემდეგ კერძოდ გობლეს, ბურჟუასა და ბრისსონს, რომლების თაოსნობითაც იყო მოწვეული ეს კრება. დასასრულ მეზიურერმა ყველა რადიკალებსა და რადიკალ-სოციალისტებს თანხმობით მოქმედება ურჩია და დასძინა: «მემარცხენეთა პარტიის ჯგუფებში ჩვენ არავინ არ მიგვაჩნია მტრად. ყველასთან, ვინც რესპუბლიკას იცავს, ჩვენ კავშირი გვწადიან, იმათთანაც კი, ვისიც იდეალი უფრო ძნელი შესასრულებელია (სოციალისტები), ვიდრე ჩვენი. ესენი ეხლა აქ არ არიან, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მომავალ საზოგადო არჩევნებში ჩვენ იმათთან ერთად ვიმოქმედებთ». ამის შემდეგ კონგრესი ბიუროს არჩევას შეუდგა და თავმჯდომარედ გობლე აარჩია, თავმჯდომარის ამხანაგებად კი—პელტანი და მოჟანი. გობლე თავმჯდომარის ადგილზე ავიდა და სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ მომავალ არჩევნების დროს ყველა რესპუბლიკელების საერთო მიზანი—თავდაპირველად ნაციონალიზმთან ბრძოლა უნდა იყოსო. შემდეგ გობლემ ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს მოქმედებას თანაგრძნობა გამოუცხადა და დაუმატა: «თუმცა კოლლექტივისტების აზრებს არ ვეთანხმებით, მით მაინც კაპიტალისტური მონოპოლიის მოწინააღმდეგები და სოციალურ რეფორმების მხურვალე მომხრენი ვართ». დასასრულ ის აზრი გამოსთქვა, რომ მომავალ არჩევნების დროს რადიკალებმა სოციალისტებთან ერთად უნდა იმოქმედონო. შემდეგ კონგრესმა კომისია აარჩია, რომელსაც ყოველი წევრის მიერ წარმოდგენილი წინადადება უნდა გადაეცეს.

✿ კანონი ასოციაციების შესახებ სენატმა ღამის ორ საათზე დაამტკიცა საბოლოოდ. სხდომა, რომელმაც ეს კანონ-პროექტი დაამტკიცა, მეტად შფოთიანი იყო და 16 საათს გასტანა. სენატორები მეტად სწრაფად იხილავდნენ პროექტის მუხლებს და ამიტომ მემარჯვენეთა პარტიამ პროტესტი გამოაცხადა და ის აზრი გამოსთქვა, რომ სენატის უმეტესობას კამათის თავისუფლების დათრგუნვა სწადიანო. მემარჯვენეთ რამდენიმე გულწრფელი რესპუბლიკელიც მიემხრო, მაგალითად, ბერანჟე, რომელსაც საზოგადოთ სამინისტროს მხარე უპირავს, მაგრამ ამ შემთხვევაში კი გაბედვით წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას. საბოლოო კენჭის ყრის წინად კომისია, რომელიც კანონ-პროექტს იცავდა, მსუბუქად დამარცხდა. ამ კომისიის მიერ კანონ-პროექტის შესაცვლელად წარდგენილი წინადადება სენატმა უარ-ჰყო. საზოგადოდ სენატის მიერ დამტკიცებულ კანონ-პროექტის შინაარსი ცოტათი განირჩევა იმისაგან, რაც პალატამ მიიღო. როცა კანონ-პროექტი საბოლოოდ დამტკიცდა, მემარცხენეთ ძრიელ ტაშის ცემა ასტეხეს და იძახოდნენ: «რესპუბლიკას გაუმარჯოსო».

ესპანია. მთელი ქვეყანა მეტად აღელვებულია: უწესოებასა და გაფიცვებს, მეტადრე სამხრეთ ესპანიაში ბოლო აღარა აქვთ. კორუნიაში მუშებმა რამდენსამე დღეს მთელი ქალაქი ხელში ჩაიგდეს; თუმცა დიდი ბრძოლა მოუხდათ ჯარებთან, მაინც ნავთსადგური და ტელეგრაფი დაიჭირეს და რაც კი ქალაქის საწყობებში და მაღაზიებში სანოვაგე, ხორაგი და საჭმელ-სასმელი იყო, თავიანთ ნებაზე მოიხმარეს. კადიკსში ქვა-ნახშირის მადნის მუშებმა გაფიცვა მოახდინეს, სამუშაო ქირის მომატებას თხოულობენ და პროტესტს აცხადებენ, რომ მადნის პატრონებს მეტად დიდი მოგება აქვთო. მეპურეები და ნავთ-სადგურის სხვა მუშები მზად არიან ამ გაფიცულ მუშებს მხარი დაუჭირონ. წვრილმა საქმის პატრონებმა უკვე შეასრულეს მუშების თხოვნა, მაგრამ დიდი და მდიდარი საქმის პატრონები კი ჯერ ისევ ჯიუტობენ. ამბობენ, რომ დაბოლოს ესენიც გატყდებიან და მუშების სამართლიან თხოვნას შეასრულებენო.

სამხრეთ-აფრიკა. «ჟურნალ დე დება»-ს ლონდონელი კორესპონდენტი ასე ასურათებს სამხრეთ-აფრიკის საქმეთა მდგომარეობას:

«თუმცა ინგლისელები ნიადაგ «იმარჯვებენ» მაინც «დაპყრობილი» რესპუბლიკების დამშვიდების საქმე წინ არ მიდის. ინგლისელები რა წამსაც წავლენ ხოლმე დაჭერილი ადგილიდან, მაშინვე ხელმეორედ ბურები იჭერენ. დაპყრობის დასამთავრებლად მთელ ამ საფრანგეთის ოდენა ქვეყანაში ინგლისელი ჯარები უნდა ჩააყენონ, მაგრამ ამას ეს ჯარი კი არა, რაც უნდა მრავალი იყოს, არ ეყოფა. ლორდ კიტჩენერს ორი დიდი დაბრკოლება ჰხვდება წინ: 1) არ შეუძლიან ერთის დიდის ბრძოლით ბოლო მოუღოს მტერსა, რადგანაც ბურები დიდ ბრძოლას ერიდებიან; 2) არ შეუძლიან მთელ ამ ქვეყანაში ჯარები ჩააყენოს, რადგანაც ეს ჯარები წამ და უწუმ ბურების სადევნად სჭირდება. საუკუნოდ ომის გაჭიანურება კი შეუძლებელია: მეტად ძვირადა ჯდება. მართალია, ძლიერ მდიდარია, მაგრამ ინგლისისათვისაც კი მეტად გასაჭირი გახდა ამოდენა ხარჯი, თანაც ამერიკისა და გერმანიის კონკურენციისგან შემოსავალი აკლდება.

✿ «დეილი მაილ»-ს სწერენ იოჰანესბურგიდან, რომ იქაური ოქროს მადნები ლამის ამერიკელებმა ჩაიგდონ ხელშიო. უფროსი ინჟინრები ყველგან ამერიკელები არიან, ამიტომ მაშინებს მარტო ამერიკიდან იწერენ და ყველა საქმეებსაც ამერიკის ქარხნებს აძლევენ. რამდენიმე მდიდარი ამერიკელი ფირმა მთელი სამხრეთ-აფრიკის ოქროს მადნების აქციებს ჰყიდულობს და ამხანაგობის დაარსებას აპირებს. «დეილი მაილ»-ს ცნობის სიმართლეს სხვა გაზეთებიც ამტკიცებენ. ამერიკა ეხლა კომმერციულად იმდენად დაინტერესებულია ტრანსვაალის საქმეებში, რომ იქნება ამ ქვეყნის მართვა-გამგეობაშიაც გაერიოსო. ამნაირად, ბურების დამოუკიდებლობის დამხობით, ინგლისელებმა იქნება მხოლოდ ამერიკელებს მოუტანონ ხეირი და სარგებლობა...

ახალი ამბავი

◆ ხვალ, 20 ივნის, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 8 საათზე, სხდომა ექნება კავკასიის გამოფენის გამმართველ კომიტეტს; კრებაზე მოხდება არჩევანი გამოფენის საექსპერტო კომისიის წევრთა და აგრეთვე განხილულ იქმნება რამდენიმე მიმდინარე საქმე.

◆ 15 ივნისს კრება ჰქონია კავკასიის სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოებას, რომელსაც გარდაუწყვეტია მიიღოს მონაწილეობა კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაში და ამოურჩევია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს, თუ როგორ მოაწყონ გამოფენის არქიტექტორის განყოფილებაში თავიანთ ნაწარმოებთა გამოფენა. კომისიის წევრებად ამოურჩევიათ შემდეგნი პირნი: კ. დიმიტრიევი; ა. ტრონოვი, კ. ანტონოვი, ა. ვასილიევი, ა. შიმკევიჩი, ა. მელიქ-ბეგლიაროვი, ნ. გრიქუროვი და რ. სარქისიანი. ინჟინერთა საზოგადოება, ატყობინებს რა ამ ამბავს კავკასიის გამოფენის გამგე-კომიტეტს, ამასთანავე უსახელებს ოცდა-ერთამდე კაცს, რომელთა მონაწილეობის მიღება საჭიროა გამოფენაში.

◆ იმპერატორის ნიკოლოოზ პირველის სახელობის ამიერ კავკასიის დედათა ინსტიტუტში, კვირას, 10 ივნისს, წილი უყარეს ხუთს თავისუფალ ვაკანსიაზედა წილის ყრით სახელმწიფო ხარჯზე მიღებულ იქმნენ შემდეგი მოსწავლე ქალები: მარიამ არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ანნა ხირსელოვი, კსენია იუხნოვიჩი, ინნა ტიზენგაუზენი და იულია მერკულოვი.

◆ კავკასიის სამთო სამმართველომ ამა 1901 წლის მარტისა და აპრილის თვის განმავლობაში ჭიათურის მარგანეცის მოთხრა-დამუშავების ნება-რთვა მისცა შემდეგ პირთ: დიმიტრი ივანეს ძე ღულუნიშვილს, მიხეილ თომას ძე ფეიქრიშვილს, კონსტანტინე საბას ძე ხაზარაძეს, მაქსიმე პავლეს ძე დეისაძეს, შავი ქვის მრეწველს ნესტორ იოსების ძე ბეჟანეიშვილს, გიორგი თეიმურაზის ძე გველესიანს, საჩინო შახაროვს, ლევან დავითაშვილს და ალფესა გიორგის ძე ღულუნიშვილს.

◆ საექიმო დეპარტამენტმა წინადადება მისცა საექიმო სამმართველოებს შეატყობინონ მას ცნობები ციებ-ცხელებიან ადგილების შესახებ და წარმოადგინონ ამასთანავე მოსაზრებანი, თუ რა საშუალებით შეიძლება ბრძოლა მალიარიასთან.

◆ როგორც გაზ. „კასპი“ იუწყება, წარსული თვის განმავლობაში ბაქოს ნავთის მწარმოებელთ ამოუღიათ 60 მილიონი ფუთი ნავთი. ასეთ გაძლიერებულმა მუშაობამ ცოტა არ იყოს მოითხოვა მუშების მომატება. რაც შეეხება ქარხნებში წარმოებას, იქ ფასი იმდენად შემცირებულია, რომ ბევრი მუშა უკანვე ბრუნდება ბაქოდან.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შეუძენია სამი მოწმობა სახელმწიფო $4^0/_0$ რენტისა თითო 100 მან. და გადაუწყვეტია მიუმატოს საზოგადოების ყოფილ ვიცე პრეზიდენტის ა. ხატისოვის სახელობაზე განზრახულ სტიპენდიების ფონდს.

ასეთივე ბედი ეწვია ჩვენ მიერ დაყენებულ მეორე კითხვას. ჩვენის აზრით, ქართული სოფელი ქართველებს უნდა დარჩეთ. ამისათვის საჭიროა ეროვნულ მიწათ-მოქმედობის და მიწათ-მფლობელობის გამტკიცება. (საჭიროა, მკითხველმა იქონიოს მხედველობაში განსხვავება მიწათ-მომქმედი და მიწათ მფლობელის შუა: პირველი თავისი საკუთარის შრომით აწარმოებს მიწას, მეორე—დაქირავებულ მუშებით). ჩვენი მიწათ-მფლობელი, ის მემამულე, რომელიც დაქირავებულ მუშით ამუშავებს მამულს, თავად-აზნაურია. ჩვენი აზნაურობა თან-დათან ჰკარგავს თავის მიწას. მამული გადავა ფულიანი კაცის ხელში. საჭიროა, რომ ეს ფულიანი კაცი ქართველი იყოს, თუნდაც ქართველი ბურჟუა, რომელიც დაიჭერს თავად-აზნაურობის ადგილს. ამგვარად უნდა გადაწყდეს ჯერ-ჯერობით მიწათ-მფლობელობის კითხვა ჩვენში. ჩვენი მიწათ-მომქმედიც ქართველი გლეხი უნდა იყოს. მას უნდა ყოველი ღონისძიება აღმოვუჩინოთ, რომ მან შეიძინოს „ნადელები“ და ის გასაყიდი მიწა, რომელსაც ქართველი პატრონი (მიწათ-მფლობელი) არ გამოუჩნდება, ამგვარად უნდა გადაწყდეს ჩვენში მიწათ-მომქმედების კითხვა. შეიძლება გვითხრას მკითხველმა, რად გინდათ ქართველი ბურჟუაზიის გაჩენა სოფელში, არა სჯობია, იმის ცდაში ვიყოთ, რომ ჩვენი მიწა მშრომელ გლეხს დაუმკვიდროთ? დიაღაც კარგი იქნებოდა ამგვარი ოცნების განხორციელება, მხოლოდ ამაზედ იმას ვიტყვით, რაცა ვსთქვით უკვე ჩვენი მრეწველობის ქართულ ბურჟუაზიის ხელში დამყარების შესახებ. ცხოვრებას თავისი საკუთარი კანონები აქვს, რომელიც ხშირად ჩვენს სურვილს არ დეეკითხება ხოლმე. ბევრი ტანჯვა და ვაგლახი გამოუვლია კაცობრიობას და ამ ტანჯვის ჯილდოთ ხშირად ფრჩხილის ოდენა ბედნიერება არ მოუპოვებია. ჩვენ ის გზა უნდა ამოვირჩიოთ, რომელიც ნაკლებად დაგვტანჯავს და, თუ ტანჯვის სიმწვავეს ცოტა არ იყოს, შევიმსუბუქებთ, ჩვენ ამითი ავასრულებთ ჩვენს მოვალეობას.

როცა ჩვენ ვამბობდით, რომ მამული მხოლოდ იმათ შერჩებათ, ვინც მას ფულით ახეირებსო, მხედველობაში გვქონდა მიწათ-მფლობელობა და არა მიწათ-მოქმედობა. დიდი მამული ან უნდა ერთ ფულიან კაცის ხელში გადავიდეს (აგრეც მოხდება ხოლმე, მხოლოდ იგი ხშირად გადადის არა ქართველის ხელში), ან კიდევ დანაწილდეს და პატარ-პატარა ნაჭრებად გლეხ-კაცობას შერჩეს (თუ ყიდვის სახსარი ექნება მას). რადგან ჩვენში ცოტაა ფულიანი კაცი, ამიტომ მეორე პროცესსი უფრო მოსახერხებელია. და მთელი ჩვენი ტაქტიკა მხოლოდ იმას უნდა მოვახმაროთ, რომ უცხო ელემენტებს არ ჩავუგდოთ ხელში ის, რაც ჩვენს ხალხს უნდა. ყველა ამ ჩვენ მოსაზრებიდან, ბ. ჟორდანიას ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ჩვენ „ქართველი ბურჟუაზიის გაძლიერება გვსურს როგორც ქალაქში, ისე სოფელში, ქართველი მშრომელი ხალხის“ ალაგმვა როგორც მრეწველობაში, ისე მეურნეობაში—აი ბ. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგი, აი საითკენ იწოდებს ის ქართველობასაო,“ ამბობს ბ. ჟორდანია. ავტორი იწუნებს ჩვენს მრეწველობა-მეურნეობის კითხვას იმიტომ, რომ იგი ვითომ ბურჟუაზიული ხასიათისაა, მხოლოდ ხმას არ იღებს იმაზე, თუ რაში მდგომარეობს და როგორ უნდა დამყარდეს ჩვენში დემოკრატიული-მრეწველობა-მეურნეობა.

ბ. ჟორდანია გვარწმუნებს, რომ ჩვენ საერთო მოქმედებაზე იმიტომ დავიწყეთ ლაპარაკი, რომ ხელი დაგვეფარებინა და მიგვეფუჩეჩებია ჩვენი ცხოვრების ეკონომიური წინააღმდეგობა. ავტორს კი არავითარი ყურადღება არ მიუქცევია იმ სიტყვებზე, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ მიუხედავად ჩვენს ცხოვრებაში არსებულ ეკონომიურ წინააღმდეგობისა, „ჩვენსავე საზოგადოებაში იმგვარი მოვლენანიც არსებობენ, რომელნიც არამც თუ ასუსტებენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ჰბადავენ ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის“. ავტორი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს იმას, მართლა არსებობენ ამგვარი მოვლენანი ჩვენში, თუ არა. ამ საგანზე ავტორი სდუმს და გადაჭრით ამბობს, ვითომ ჩვენ ჩვენს თავს ვეწინააღმდეგებით, როცა ვამბობთ, რომ ჩვენში არის ეკონომიური განხეთქილება და ამ განხეთქილებას კი „პროგრამის“ გარეშე ვტოვებთ. სამწუხაროდ, ავტორს მხედველობაში არ მიუღია კითხვის პოლიტიკური, ანუ ეროვნული მხარე. ჩვენ კი სწორედ ამ კითხვის ეროვნულ მხარეს ხაზს ვუსვამთ და მას უპირატესს მნიშვნელობას ვაძლევთ და მხოლოდ ამ განზრახვით დავტოვეთ „პროგრამის“ გარეშე ის, რაც სხვა პირობებში დასატოვებელი არ იქნებოდა. და მხოლოდ ამ მოსაზრებაზე ვაშენებთ მთელს ჩვენს პროგრამას.

ყოველ ისტორიულ ხანას თავისი საჭიროება აქვს. ჩვენი დროის საჭიროებაზე თვითონ ჩვენი ცხოვრება გვითითებს. და თუ ამ უმთავრესის საჭიროების დაკმაყოფილებით ბევრი სხვა საჭიროება დაუკმაყოფილებელი რჩება, ჩვენ იმით უნდა ვინუგეშებდეთ თავს, რომ ის ვაკეთეთ, რისი გაკეთებასაც ჩვენი სინიდისი და შეგნება მოითხოვდა.

არჩილ ჯორჯაძე.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ შაბათს, 16 ივნისს, კრასილ ქუჩაზე საკუთარ სახლში მოჰკლეს წოვ ნოვის აბანოს მოიჯარადრე ყორჩიბაშევ ამ დღეს ყორჩიბაშევთან მოსულა აბანოს ახალგაზრდა 17 წლის მელიქოვი, რომელიც წინათაც ხშირად დადიოდა თურმე მასთან. ნაშუადღევის ორ საათზე ყორჩიბაშევი და ეს მელიქოვი წასულან პირველის სახლში კრასილნაია ქუჩაზედ. ყორჩიბაშევს თავის პატარა ბიჭი აბანოში გაუგზავნია და 6 საათზე დაბრუნება უთქვამს. ბიჭი დაბრუნებულა დანიშნულ დროზე და სახლში მისი ალა ნახევრად გახდილი მკვდარი უნახავს. მოკლულს 8 ჭრილობა აქვს. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მკვლელს წაუღ საათი და 800 მ. ფული, რომელიც ყორჩიბაშევს თან ჰქონია. პოლიციამ გაჩხრი ხსენებულ მელიქოვის მშობლების სახლ მაგრამ ვერაფერი იპოვეს. თვითონ მელ ქოვიც არსად სჩანს ჯერ.

◆ კვირას, 17 ივნისს, სადგურ ნ ითსა და ლანჩხუთს შუა მეორე კლ ვაგონში იპოვეს ვიღაც უცნობის თოკით ყელზე. გამოძიება სწარმოებს.

◆ 13 ივნისს, შუადღისას, სამმა ყაჩაღმა რაჭის მაზრის გზაზე, ხარის-თვალის უქნების ახლოს მოჰკლა ონანოვის მო რადრე ენუქიძე და წაართვა ას-ოც მნამდე. გუშინ იქვე გაძარცვეს ერთ რია. გუშინვე, ღამის ათ საათზე მათმავარმა ლიკორწმინდელმა (რაჭის მაზრა სტრაჟნიკებმა“ ნაქერალის წვერზე ღომით აუტეხეს სროლა ტყიბულიდან მოსულ „სტრაჟნიკებს“, რომელნიც ამ ყაჩაღების საძებრად იყვნენ გაგზავნილ ტყიბულიდან. პირველებმა უკანასკნელთა შორის მძიმედ დასჭრეს „სტრაჟნიკი“ ია ვაჭაძე. საბრალომ სულ ერთი საათი-ღა იცოცხლა. ყაჩაღთა კვალი დაიკარგა.

◆ ს. კონაკში (სიღნაღ მაზრა) ამ დღეებში დიდი სეტყვა ყოფა; დაზარალებულა როგორც ნათეს ისე ბაღებიც. ზარალი 7000 მანეთამდეა.

◆ ბ. სამსონ დათეშიძე გადმოგვცა 12 მანეთი ლადო ადნიაშვილ სასარგებლოდ შეკრებილი ქუთაისის სათავ-აზნაურო სკოლის მასწავლებელთა შორის.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის კანცელარიის მმართველი ანდრეევი ორის თვით დათხოვნილია სამსახურიდან; ბ. ანდრეევის დაბრუნებამდის თანამდებობას ასრულებს საქმის მწარმოებელი ნ. ნიკოლაევი.

◆ სამხედრო უწყებას განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ადმინისტრაციაც, ეძებს ადგილს მუხროვანიდან გადმოყვანილი რეზერვო ბატალიონის კაზარმის ასაშენებლად.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის თავმა სთხოვა კომენდანტ რეიტერს, რათა სამხედრო მუსიკა კრავდეს ალექსანდრეს ბაღში 6½-იდან ½-მდე. ამასთანავე ქალაქის თავმა განკარგულება მოახდინა მოუმატონ ხსენებულ ბაღში ფარნების რიცხვს.

◆ გუშინ ტექნიკ აგაჯანოვმა დაასრულა ზუბალაშვილის სახელობაზე ასაგებ თავშესაფარის ხარჯ-აღრიცხვა. თავშესაფარი დაჯდება 82.00 მან.

◆ სასამართლოს ქუჩის სახლის პატრონები სთხოვენ ტფილისის ქალაქის გამგეობას ხსენებულ ქუჩის გაკანიერებას იმ ადგილას, სადაც უნდა აშენდეს განსვენებულ ზუბალაშვილის თავშესაფარი.

◆ კვირას, 17 ივნისს, ქალაქის მე-VII-ე ნაწილის ბოქაულმა და ექ. პროზოროვსკიმ დაათვალიერეს თევზის საწყობი და რამდენიმე დუქანი კახეთის ქუჩაზე და აღმოაჩინეს 57 ფუთი უვარგისი თევზი და რამდენიმე ფუთი დამპალი ხილი და მწვანილი.

◆ ქალაქის მიწის მზომელს ლარიონოვს უნდა წარმოედგინა ქალაქის გამგეობისთვის მოსაზრებანი შესახებ იმ სამუშაოებისა, რომელიც ეხება ქუჩების გაპლანვას, ქალაქის პლანის შედგენას და სხვა. ლარიონოვის აზრით, ამგვარ სამუშაოს გაკეთებას ყველაზედ მეტად საჭიროებს ქალაქის ანაპირა ადგილები. მთელი ეს საქმე დაჯდეს 2500 მ. საინტერესოა ბ. ლარიონოვის გულ-უხვობა, მაგ., მისის აზრ პლანის ამღებს უნდა მიეცეს დღე 0 მ., მხატვარს—7 და მუშას კი მა 80 კ.

◆ 12 ივნისს, სამოსამართლო ქუჩაზედ, პოლი მეორე ნაწილში, ზუბალაშვილის სახლის შე ლთან პოლიციის მოხელეს უნახავს მიგდებული კვირის ბავშვი მდედრობითი სქესისა; ბავშვი გას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

◆ პოლიციის მეორე ნაწილში მისულა ტფილისის მცხოვრები დიმიტრი ივანეს ძე ერმაკოვი და განუცხადებია რომ მისთვის ვიღაც ბოროტ-განმზრახველს 14 ივნისს ღამით მოუპარავს სხვა და სხვა ნივთები 80 მანეთის ღირებულობისა; ქურდობაში ეჭვი ერმაკოვს გამოუცხადებია ბესარიონ გაბელიაზე, რომლის შესაპყრობლად პოლიციამ უკვე საჭირო ღონის-ძიება მიიღო.

◆ ამ რამდენიმე დღის წინად მტკვარში საბანაოდ ჩასულა ტფილისის მცხოვრები კონსტანტინე პეტრეს ძე ბოიაროვი ვერის ხიდთან; გაუფრთხილებლობის გამო ბოიაროვი დაიხრჩო. გუშინ-წინ პოლიციის მე-7 ნაწილში იპოვნეს მისი გვამი.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში დიდუბის პირდაპირ მტკვარში საბანაოდ ჩასულა გორის მაზრის სოფელ გუზიანტის მცხოვრები მათე ტატოს ძე გუზინაშვილი 29 წლისა, რომელიც წყალს ღრმა ადგილში ჩაუთრევია და დაუხრჩვია.

პრესსა

სწავლა-განათლების რეფორმის საქმემ შეძლება მისცა ჟურნალ-გაზეთებს გამოამჟღავნონ ბევრი უსამართლობა და უკუღმართობა, რომელსაც ადგილი ჰქონია სასკოლო უწყებაში. მაგალითად, მე-80 წლების დასასრულში რუსეთის საზოგადოება დიდად აღელვა ცნობამ, რომ საერო განათლების სამინისტრომ ბრძანება გასცა—საშუალო სასწავლებლებში აღარ უნდა მიიღებოდენ დაბალ წოდების შვილებიო. ამ საოცარ ცირკულიარის შესახებ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო მაშინ საზოგადოებაში, მაგრამ პრესსა ძალა-უნებურად სდუმდა, მხოლოდ ეხლა მიეცა მას საშუალება გაიხსენოს ეს „ისტორიული ცირკულიარი“ და ღირსეულად დააფასოს იგი. მოგვყავს აქ ეს ცირკულიარი, რომელიც მინისტრმა დელიანოვმა გაუგზავნა 1887 წელს სამოსწავლო ოლქების მზრუნველთ და რომელიც კარგად ახასიათებს, თუ როგორი უკუღმართი მიმართულება ჰქონდა სწავლა-განათლების პოლიტიკას.

„საერო განათლების მინისტრმა,—ასე იწყება ცირკულიარი,—საჭიროდ სცნო გააუმჯობესოს გიმნაზიების და პროგიმნაზიების მოწაფეთა მდგომარეობა და ამიტომ საუმჯობესოდ სთვლის ამ სასწავლებლებში მიღებულ იქმნან მხოლოდ იმ პირთა შვილები, რომელთა შესახებ სასწავლებლის მმართველობა სრულიად დარწმუნებულია, რომ შესაფერს აღზრდას აძლევენ ოჯახში შვილებს და შეძლება აქვთ ხელი შეუწყონ ბავშვებს სწავლის დროს. თუ ამ წესს მუყაითად აასრულებენ სასწავლებლების მმართველნი, მაშინ გიმნაზიები და პროგიმნაზიები განთავისუფლდებიან ქუჩრების, ლაქიების, მზარეულების, მრეცხავების და წვრილ მედუქნეების და სხვათა ამგვართა შვილებისაგან; ამათი მიღება სასწავლებელში მხოლოდ მაშინ არის საჭირო, თუ არა ჩვეულებრივს ნიჭს გამოიჩენენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი არ უნდა მოაშორონ თავიანთ ოჯახსა და წოდებას, რადგანაც მრავალის წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ დაბალ წოდების განათლებულს კაცს სძულს ის ოჯახი და წრე, რომლიდანაც გამოვიდა. ამასთანავე საერო განათლების მინისტრი საჭიროდ სთვლის, რომ გიმნაზიების და პროგიმნაზიების უფროსებმა, სანამ მიიღებდნენ ბავშვებს, დაწვრილებით გამოიძიონ მშობლების საოჯახო და მატერიალური მდგომარეობა, ის პირობები, რომელშიაც ცხოვრობენ მისაღები ბავშვები; თუ გამოძიება აღმოაჩენს, რომ ბავშვების მშობლები ან მზრუნველები ღარიბები არიან და დაბალის წოდებისა, მაშინ ხსენებულმა უფროსებმა უნდა ურჩიონ მშობლებს, რომ ამგვარ ბავშვების ადგილი გიმნაზიაში-კი არ არის, არამედ რომელსამე დაბალ სასწავლებელში, რომელიც უფრო შეეფერება მათ წრესა და წოდებას“.

რასაკვირველია, ძირითადი რეფორმა სჭირია იმ უწყებას, სადაც ასეთი დახავსებული მიმართულება არსებობდა!

პროვინცია

ქიზიყი. (სიღნაღის მაზრა). ქიზიყს წელს ცუდი წელიწადი მოუბრუნდა. ერთის მხრით ბუნება, მეორეს მხრით ყაჩაღები, ქურდ-ბაცაცები და მესამეთ თვით მკვიდრნი თითქო ერთმანეთს გაჯიბრებიან, რაც შეიძლება მეტი ვავნოთ და ვაზარალოთ წყნარ მშრომელს და თავის ოფლით მცხოვრებელ მკვიდრთაო. ჯერ ხომ უწვიმრობამ შეაწუხა ქიზიყი, შემდეგ წვიმებმა მოაბეზრა თავი და ახლა ეს დაუნდობელი და შეუბრალებელი ბუნების მოვლენა—სეტყვა—ანადგურებს ნამოქმედარს. თიბათვის 12-ში კიდევ ესტუმრა სეტყვა სოფელ კარდანახს და რაც წინეთ მოსულმა სეტყვამ შეარჩინა ვაზებს, ამან ბოლო მოუღო. სეტყვა მოვიდა იმ ხეობაზედ და იმ ვენახებში, სადაც ადრევე დასეტყვა. თითქმის მუდამ დღე, მთელს თიბათვეში, ჭერში დრუბლები ირევა და გულს უხეთქავს ვენახის პატრონთ. მაგრამ ბუნებას ვიღას ახსოვს ამ ყაჩაღ ჩადახ-ბადის ბრბოს შემურეს. ისე დღე არ გაივლის, ამბავი არ მოვიდეს—აქა და აქ გაძარცვეს ან ცხენები დაიტაცესო. ამათთვის აღარც მანძილი არსებობს, აღარც დრო და არც უგზო უკვლობა. სწორეთ მიწის მგლათ გადიქცნენ. თერთმეტში ვეჯინის ბოლოს დაიტაცეს ცხენები, სადაც თავიანთი დაღლილ-მოქანცული ცხენები დაეტოვებინათ და მეორე დღეს კი 80 ვერსის მანძილზედ—კაჭრეთის ახლოს, იმავ ალაგზედ, სადაც ამ თვის პირველში დილიჟნები დაცარცვეს, ორი კაცი გაუძარცვნიათ. მაზრის დარაჯს სწორეთ დავთარი დაუკარგა—აღარ იცის, სით მოძებნოს. ალაზანზედ რომ ჩავლენ, მაშინ უკანამხარში ძარცვავენ და როცა უკანამხარში ამოვლენ სამდევროთ—ისინი კიდევ წინამხარში ძარცვავენ. აქამდე კვალს ვერ მიაგნეს, რომ ფეხ-დაფეხ გაუღონენ. ეს ყაჩაღები ისე არხეინად დადიან, თითქოს არავინ არ დასდევს უკანაო. ძარცვის დროს თურმე მასლაათს გააბამენ ხოლმე და ყველას დაწვრილებით გამოჰკითხავენ, სადაურია, სად მიდის და სხვა. იმ დღეს აშკარათვე ჩავლით ბოდბის ხევზედ და იქიდგან ალაზნის პირას გასულიყვნენ; აგრეთვე, ამბობენ, გურჯაანში ერთ მათგანს უყაჭრია სანოვაგე და ვაჭრობის დროს ხალხს და მოხელეებს უყურებიათ. გასაკვირველი ის არის, რომ ყაჩაღები თავადებს და შეძლებულთა ბინებს ერიდებიან. მაგრამ რა—თავადებს თუ ყაჩაღები ერიდებიან თითონ ერთმანეთს სტაცებენ საქონელს. ისე კვირა არ გაივლის, წინამხრის თავადებმა ავკაცობა არა ჩაიდინონ-რა. აი ახლაც რამდენსამე თავ. ვაჩნაძეებს თავ. ნ. ათხაზისა და სხვებისათვის დაუტაცნიათ 40 სული საქონელი, ამასთან 4 უკეთესი საქონელი ამოურჩევიათ და შეუთვლიათ: თუ 400 მან. არ მოგვცემ, ამ საქონელს გავყიდითო. თავიანთ საქციელს იმით აკანონებენ წანახლენში დავიჭირეთო, მაგრამ, როგორც ამტკიცებენ, წანახლენში კი არა, ისე აფხაზის მინდვრიდგან გაურეკიათ. თუნდაც მართლა თავიანთ მამულში დაეჭირათ—წლევანდელ წელს სხვაგან კი არ მოვიდა ბალახი გასათიბი და რადა იმათ მამულში გაჩნდა და მერე თითო სულში ნუ თუ 10 მან. ბალახს მოსჭამდა სულ რამდენიმე საათის განმავლობაში?!. ამ ვაჟბატონებს ძალიან გაუტკბათ სხვისი ოფლითა და ქონებით ყელის გატკბარუნება. ისე წელიწადი არ გავა, აზ. ჩარეკვს რამდენიმე სული საქონელი არ გაუყიდონ, ან არ დაუკლან, თუმცა იმას სხვებზედ მეტი მონაწილეობა აქვს მამულებში. მაგრამ რას გააწყობთ ძალმომრეობასთან. როდესაც სამართალში ჩავარდება საქმე, მოსამართლე თხოულობს გარკვევით აჩვენოთ: ვინ მოსტაცა, ან რომელმა გაყიდა, ან დაკლათ და ამისი დამტკიცება და დამოწმება კი მოუხერხებელია, რადგან ესენი რამდენიმე დაეცემიან ხოლმე ბინაზედ, იქ კი ორი, ან სამი კაცი დახვდებათ, რომელთაც ჯერ გაირეკავენ და მერე საქონელს დაარჩევენ ხოლმე. ამიტომ იმის დამტკიცება—ვინ რა მოქმედება ჩაიდინა, ძნელზედ უძნელესია და ხშირათ შეუძლებელიც, რის გამოც ბოროტ-მოქმედნი დაუსჯელნი რჩებიან და უფრო თამამდებიან.

მთანბე.

მცირე კრედიტის დაწესებულებათა დებულება *)

15. როცა მამული იყიდება ხაზინის ან კერძო პირის ვალში, თუ ეს მამული დაგირავებულია მცირე კრედიტის დაწესებულებაში მე-14 მუხლის საფუძვლით, ხაზინისა და კერძო პირის ვალზე უწინ ამ მცირე კრედიტის დაწესებულების ვალი უნდა იქმნეს გასტუმრებული.

16. ვალი, გარდა დაგირავებულ ქონებისა, შეიძლება გადახდეს მსესხებელის სხვა ქონებასაც

17. ვადაზე არ გადახდილ ვალს საკრედიტო ამხანაგობა და აგრეთვე შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობა და კასა ახდევინებს მსესხებელს პოლიციისა და სასოფლო სამმართველოს საშუალებით; ესენი მოვალენი არიან შვიდის დღის განმავლობაში, დღიდან განცხადების მიღებისა საკრედიტო დაწესებულებისაგან, აუწერონ მსესხებელს ქონება ან მიმართონ სხვა ზომებს, რომელთაც საკრედიტო დაწესებულება უჩვენებს. შემდეგ თავის მოქმედებაში პოლიცია და სასოფლო სამმართველო ხელმძღვანელობს არსებულ კანონიერ წესებით. სასოფლო ბანკი და კასა ახდევინებს დროზე არ გადახდილ ვალს იმ წესით, რა წესითაც ახდევინებენ სოფლის გადასახადებს საზოგადოთ.

18. თუ დაგირავებული უძრავი ქონება მეორე საჯარო ვაჭრობაზედაც არ გაიყიდა, ქონება ხდება მცირე კრედიტის დაწესებულების სრულს საკუთრებად, მაგრამ იგი მოვალეა გაჰყიდოს ეს მამული ექვსის თვის განმავლობაში საჯარო ვაჭრობით ან ისე, მორიგებით.

19. საკრედიტო ამხანაგობა ისე, როგორც შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა და კასა, ლიკვიდაციის დროს ექვემდებარება მოკლე ვადიან კრედიტის დაწესებულებათათვის არსებულ წესებს (მუხ. 75—133, განყ. X საკრედ. წესდ., კანონთა კრებ. ტ. XI, ნაწ II, გამოც. 1893).

20. საკრედიტო ამხანაგობის წესდებაში უნდა იყოს აღნიშნული: ა) სახელწოდება, რომლის მიღებას ჰფიქრობს ამხანაგობა, და ადგილი, სადაც იგი არსდება; ბ) ძირითად თანხის შედგენის წესი; გ) ყველა ოპერაციები, რომელთა ნებაც ამხანაგობას აქვს; დ) ამხანაგობის კაპიტალების შენახვის წესი; ე) წესი და პირობები ამხანაგობის წევრთა არჩევისა და აგრეთვე გამოსვლისა ან გამორიცხვისა; ვ) წევრთა პასუხის გების რაოდენობა ამხანაგობის მოვალეების წინაშე (მუხ. 9); ზ) მობარებულ ფულის მიღებისა და დაბრუნების წესი; აგრეთვე ამ ფულის სარგებლის ანგარიშის და სარგებლის მიცემის წესიც; თ) რაოდენობა სესხისა და მობარებულ ფულისა, რომელიც შეუძლია იკისროს ამხანაგობამ; ი) წესი ამხანაგობის წევრთა კრედიტის განსაზღვრისა, სესხის გაცემისა, სარგებლის შემოტანისა, სესხის დაბრუნებისა და ვადაზე არ შემოტანილ სესხის გადახდევინებისა; კ) გაცემულ სესხის უზრუნველყოფის საშუალება და რაოდენობა; ლ) წესი სათადარიგო თანხის შედგენისა, მის შენახვისა და მისი დანიშნულება, როგორც დაწესებულების მოქმედების დროს, ისე მის დახურვის შემდეგაც; მ) წესი ამხანაგობის ოპერაციების წმიდა მოგებისა ან წაგების გამოანგარიშებისა, შემოსავლის განაწილებისა და ზარალის დაფარვისა; ნ) წესი ამხანაგობის მართვა-გამგეობისა და იმ პირების არჩევანისა, რომელთაც უნდა განაგონ ამხანაგობის საქმეები და აგრეთვე ამ პირების უმთავრესი მოვალეობანი (მუხ. 10); ო) ანგარიშის უმთავრეს საფუძველთა განსაზღვრა და საქმეთა პ) წესი ამხანაგობის დახურვისა და ლიკვიდაციისა.

21. შენახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა წესდებაში იმ დადგენილებათა გარდა, რომელნიც ნაჩვენებია მე-20 მუხლში, უნდა იყოს აგრეთვე აღნიშნული პაების ფა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1496.

სი და პაის ღირებულობის გადასახდელი შემოსატანის რაოდენობა (მე-6 მუხ.), აგრეთვე წესრიგი ამ შემოტანის გადასახადისა და შემოტანილ სააიო ფულის დაბრუნებისა ამხანაგობის ყოფილ წევრთათვის.

22. სასოფლო ბანკის ან კასსის წესდებაში უნდა იყოს შეტანილი ყველა ის დადგენილებანი, რომელნიც არიან აღნიშნულნი მე-20 მუხლში, გარდა პუნქტებისა ე და 3.

23. საკრედიტო ამხანაგობისა და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა—კასსების ზედამხედველობა ეკუთვნის ფინანსთა სამინისტროს; ხოლო სასოფლო ბანკებისა—შინაგან საქმეთა ან სამხედრო სამინისტროებს.

24. მცირე კრედიტის დაწესებულებანი მოვალენი არიან წარუდგინონ ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნისათანავე ყველა ცნობები.

25. ფინანსთა სამინისტროს ნება აქვს დანიშნოს მცირე კრედიტის დაწესებულებათა რევიზია; საკუთრივ სასოფლო ბანკების რევიზიის შესახებ უნდა შეეთანხმოს შინაგან საქმეთა ან სამხედრო სამინისტროებს.

26. ფინანსთა სამინისტროს ნება აქვს აუკრძალოს ამ დაწესებულებათ, თუ საჭიროება მოითხოვს იმ ოპერაციების მოხდენა, რომელნიც აღნიშნულნი არიან მე-13 მუხლის პუნქტებში დ და ზ და შეიმუშაოს წესრიგი ამ ოპერაციების ლიკვიდაციისა.

27. უახლოვესი ზედამხედველობა საკრედიტო ამხანაგობებზე ევალება, სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელობით, ამ ბანკის აგენტებსა და მათ თანაშემწეთ ან ბანკის სხვა მოხელეთ, თანახმად ამ ბანკის მე-19 მუხლისა. ამ ზედამხედველთ ეწოდება „საკრედიტო ამხანაგობათა ინსპექტორები.“

28. საკრედიტო ამხანაგობათა ინსპექტორების მოვალეობას შეადგენს: 1) ამხანაგობის კასსის, საქმის წარმოების და ანგარიშების რევიზია; 2) თვალ-ყურის დევნება, რომ ამხანაგობებმა კანონი და წესდება არ დაარღვიონ და 3) მოწვევა ამხანაგობათა საგანგებო კრებებისა, თუ ეს საჭირო იქნება.

29. თუ ინსპექტორმა აღმოაჩინა ბოროტმოქმედება ამხანაგობათა საქმეებში, მას ნება აქვს დროებით სამსახურიდან გადააყენოს ამხანაგობათა მმართველნი, მაგრამ ამასთანავე უნდა მიიღოს ღონის-ძიება, რათა ამხანაგობის მოქმედება არ შეჩერდეს.

30. ინსპექტორების მოქმედების დაწვრილებითი წეს-რიგი შემუშავებული იქნება განსაკუთრებულ წესდებაში, რომელსაც განიხილავს სახელმწიფო ბანკის საბჭო და დაამტკიცებს ფინანსთა მინისტრი.

წერილი რედაქციის მიმართ

უზომოთ შევწუხდი, როდესაც წავიკითხე თქვენს გაზეთში, რომ ლადო აღნიაშვილი სამი თვეა, რაც ტფილისის მიხეილის სულით ავადმყოფთა განყოფილებაში იმყოფება. შევწუხდი მისთვის, რომ ერთი მოაკლდა წევრი ქართველ მოღვაწეთ გუნდს და მეორე მიყვარდა იგი არა მარტო მე, არამედ ყველა მის შეგირდებს, როდესაც გვასწავლიდა იგი ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში. არც ერთი მასწავლებელი არ გვიყვარდა ისე, როგორც ლადო. მან კარგად იცოდა, თუ რა რიგად ვიტანჯებოდით და ვდარდობდით სოფლიდან ახლად ჩამოსული ბავშვები ქალაქში.

ლადომ ისე მიგვიზიდა ახალ-ჩამოსულები თავის ტკბილის ენით, ხუმრობით და ხანდახან თამაშობითაც, რომ სოფელი და სახლი დაგვავიწყა. ისე დავდევდით შეგირდები უკან, როგორც კრუხს წიწილები. თუმცა პატარები ვიყავით, მაგრამ ყველა მას ვცდილობდით, რომ მისი გაკვეთილი კარგათ გვესწავლა და არ გაგვეჯავრებინა. ყოველ დღე სწავლის შემდეგ, შეგირდები თავის სახლამდის მივაცილებდით ხოლმე.

მივმართავ მის შეგირდებს და ჩემ ამხანაგებს, თუ რომ მთლად არ გაქვთ გაციებული გული და არა გვაქვთ დავიწყებული ჩვენი მასწავლებელი ლადო აღნიაშვილი, რომელსაც ამდენი ღვაწლი მიუძღვის ჩვენზედ, გთხოვთ ყველას და მოვალენიც ვართ, არ დავზოგოთ ჩვენის ამაგდარის მასწავლებლისათვის ჩვენ ჩვენი წვლილი, ვისაც რა შეგვიძლიან. მით უმეტეს, რომ ბევრს მათგანს თვეში ათი თუმანიც აქვს და ზოგს მეტიც და სჭამს ქვეყანაზედ კეთილ სვინიდისიერ ლუკმა პურს. და მეც, ერთი მის შეგირდთაგანი, რომელსაც წილად მხვდა ბერობა, გარდავსცემ «ცნობის ფურცლის» რედაქციას სამ მანეთს დიდის ბოდიშის ხდით, ვითარცა მცირე ჯამაგირის პატრონი, და გთხოვ მოახმარონ მას, როგორც ესაჭიროებოდეს. და ვთხოვ ჩემის ცოდვილის პირით ყოვლად შემძლებელს უფალს, რათა განიკურნოს იგი. «კაცთა მიერ შეუძლებელი ღვთისა მიერ შესაძლებელ არს».

შუამთის მონასტრის მღვდელ-მონაზონი ტარასი.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 ივნისი.

პეტერბურგი. 17 ივნისს, პეტერგოფის დიდ სასახლის ეკკლესიაში მოხდა ნათლობა ახლად დაბადებულის დიდის მთავრინის ანასტასია ნიკოლოოზის ასულისა.

17 ივნისს დიდ მთავრინა ანასტასია ნიკოლოოზის ასულის ნათვლის გამო პეტერბურგი და პეტერგოფი ბაირაღებით იყო შემკობილი; საღამოს ილუმინაცია იყო.

პეტერგოფში გამართულ საოჯახო სადილის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა მეკლენბურგ-შვერინის დიდ ჰერცოგს ანდრია პირველ-წოდებულის ორდენის ნიშნები.

იოკაჰამა. აქაურ გაზეთების სეულის კორესპონდენტები ყველანი იმ აზრის არიან, რომ უკანასკნელი არეულობა გამოიწვიეს ფრანგ მისიონერებმა და მათმა მომხრე ქრისტიანებმა. მოელიან კიდევ ახალ არეულობას.

ვაშინგტონი. როკგილი დეპეშით იტყობინება, რომ პრინცი ჩუნი, რომელიც უფროსია გერმანიაში საბოდიშოდ მიმავალ მისიისა, დაბრუნებისას ამერიკაში გაივლის.

შანხაი. მარკი ტზენგს მოუვიდა სიანფუდან დეპეშა, რომელშიაც სწერია, რომ ქვრივმა დედოფალმა გამოუცხადა დიდ საბჭოს, რომ პეკინის მაგიერ ჩინეთის სატახტო ქალაქი იქნება ქალაქი კაიფონგფუ, ჩენანის პროვინციაში; პეკინში დაბრუნება დედოფალს არ სურს, რადგანაც ეშინიან ტყვედ არ წაიყვანონ.

პრაღა. დილით ხალხი ალტაცებით დახვდა „შევარდნებს“, რომელნიც გაემართნენ რატუშისაკენ მისასალმებლად. ქალაქის თავმა ქალაქის სახელით მადლობა გამოუცხადა გიმნასტებს და გამოთქვა სურვილი, რომ მათი იდეალები—თანასწორობა, ძმობა და თანხმობა გავრცელებულიყოს მთელს ჩეხიაში.

«შევარდენთა» საპარადო გავლის შემდეგ რატუშაში გაიმართა ნადიმი, რომლის დროსაც ქალაქის თავმა სიტყვით მიმართა სტუმრებს, რომელთა წარმომადგენლებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს პრაგას და მთელ ჩეხიას. შემდეგ გაიმართა გიმნასტიური ვარჯიშობა; განსაკუთრებით მოიწონეს პოლონელი და ფრანგი გიმნასტები.

კიევი. მაისის და ივნისის წვიმებმა ცუდი გავლენა იქონია ანეულზე, ნაკლები—გაზაფხულის ნათესობაზე. ბევრ ადგილას ქვავი და პური დაწვა. უკანასკნელ დღეებში სიცხეებმა დააჩქარეს დამწიფება. კიევის გუბერნიის უდიდეს ნაწილში რთველი ჩვეულებრივზე ერთის კვირით ადრე დაიწყება. პურის ბაზარი სამხრეთ ნაწილებში დუნედ მოქმედებს. ადგილობრივი ვაჭრები ჯერ არ ყიდულობენ საქონელს, რადგან მოსავალს კარგი პირი უჩანს და მოელიან ფასების დაწევას; ხშირმა წვიმიანობამ გავლენა იქონია თივის მოსავალზე, ნიაღვრებმა დაიზიანეს ბოსტნები. ხილის მოსავალს კარგს არ მოელიან, რადგანაც ყვავილობის დროს დიდი სიცივეები და ქარი იყო.

ბერლინი. გუშინდელ ბანკეტზე, რომელიც გამართული იყო ფრანგ ავტომობილისტების პატივსაცემლად, ვაჭრობის მინისტრმა მელერმა სთქვა სიტყვა, რომელშიაც უჩვენა საფრანგეთისა და გერმანიის სავაჭრო ხელ შეკრულობაზე; ამ ხელ-შეკრულობის ძალით, მინისტრის სიტყვით, გერმანიასა და საფრანეთს შუა არ არსებობს ცილობა სამრეწველო ნიადაგზე. საფრანგეთისა და გერმანიის პოლიტიკა მრეწველობის მხრივ ერთი და იგივეა.

ჰააგა. აქ შესდგა ნიდერლანდელების ჯგუფი საერთაშორისო კავშირისა სამედიატორო სამართლის პროპაგანდისათვის. ვილიამ სტედმა წინადადება შემოიტანა მშვიდობიანობის ყველა მომხრეთა საერთო ორგანიზაციის შესახებ სამედიატორო სამართლის საქმის წინ წასაწევად. განსაკუთრებით სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გამოეცხადოს ინგლისს ტრანსვაალთან ასე მოპყრობის გამო; ეხლა ამისათვის საუკეთესო დროა.

პრაღა. „შევარდენთა დღესასწაული არაჩვეულებრივის გატაცებით სრულდება. განსაკუთრებულის აღტაცებით დახვდნენ რუს და ფრანგ სტუმრებს; ხალხს უნდოდა ეტლებიდან ცხენების გამოხსნა, მაგრამ პოლიციამ დაუშალა მოვიდა 10.000-ზე მეტი „შევარდენი“, მათ შორის პირველად 1000 ქალიშვილიც. პოლონელი «შევარდნები» 240-ია. საჯარო ვარჯიშობაში ერთბაშად მონაწილეობას იღებდა 6000 კაცი. ამინდი მშვენიერია.

რედაქტორი ალ. ჭყონია.

გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 15 ივნისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	45,90
პარიზზე 100 ფრანკში	37,22½
ლონდონზე ჩეკები	94,45
ბერლინზე „	46,30
პარიზზე	37,50
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 მყიდვ.
3½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 „
4% გირავნ. ფურც. სახელ. სა-ადგ.-მამ. ბანკისა	96 გამყიდ.
5% 1-ლი შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	372½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	299 მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმწ. საადგ.-მამ. ბანკისა	218¾ გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	89¼ გამყიდვ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკი 5% გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	85 მყიდვ.
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) სათუსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო—გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); სათუსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: სათუსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) სათუსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 23 ივნისს ნაშუადღევის 1-ლ საათზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **გზაფენილის გაკეთება** კახეთის გზაზე და ლაზარევის ქუჩაზე 1100 ოთხ-კუთხი საჟენის სივრცეზე; მუშაობის ღირებულობა 2750 მან.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებითი პირობები შეუძლიან განიხილოს გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (3—6.—2)

ტფილისის
ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 22 ივნისს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **გზის გაკეთება** პეტრე-პავლეს ხიდიდან გადამღებ სენით ავადმყოფთა ქალაქის ქსენონებამდე; მუშაობის ღირებულობა 2100 მან.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებითი პირობები შეუძლიან განიხილოს გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (3—6.—2)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 22 ივნისს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **გზაფენილის გაკეთება** მართლ-მადიდებელთა კუკიის სასაფლაომდე ანტონიევის ქუჩის კუთხიდან 1240 ოთხ-კუთხი საჟენის სივრცეზე; მუშაობის ღირებულობა 4900 მან.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებითი პირობები შეუძლიან განიხილოს გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (3—6.—2)

ტარტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქ. კომედია მოლიერის, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ. ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში.

ეტიუდები თ. ხუსკივაძისა იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. ვისაც სურს, რომ დაკლებულ ფასად იყიდოს, მან უნდა მოგვმართოს ჩვენ, გამომცემელს ამ ადრესით: Квирилы Ивану Ардишвили (10—5)

Дозволено цензурою Тифлисъ, 18 Іюня 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ქართველთა ამხანაგობისა.